



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგოლაძე ლერი დავითის ძე



ლ. გოგოლაძე

გოგოლაძე ლერი დავითის ძე (დ. 1. IV. 1938, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1988). სპორტსმენი (წყალბურთი), საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1960). 1961 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი. 1985-87 იყო თსუ-ის პრორექტორი, 1987- იდან - ზოგადი მათ. კათედრის გამგე. კვლევის ძირითადი მიმართულებაა: ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის საკითხები. მონაწილეობდა და

დიდი წვლილი მიუძღვის საქართვე. ნორჩ მათემატიკოსთა ნაკრების საერთაშ. ოლიმპიადებისათვის მომზადებაში. გ. იყო თბილ. „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის (1957-72) და სსრკ ნაკრების (1959-64) წევრი (მეკარე). ოლიმპიური თამაშების (რომი, 1960), ევრ. ჩემპიონატის (ლაიფციგი, 1962), მსოფლიო უნივერსიადის (პორტუ-ალეგრი, 1963) ვერცხლის მედალოსანი, სსრკ ჩემპიონატის მრავალგზის პრიზიორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.
